

რეგლამენტი

1. შეჯიბრის ტიპი:

საქართველოს თასი, დისციპლინა ქროს ქანთრი, ენდურო

პრომოუტერი: ა(ა)იპ ენდურო ქლავ ჯორჯია, შპს „ჰასკი ჯგუფი“

ლოკაცია: I დღე: თბილისი-ბაკურიანი

II დღე: ბაკურიანი- კურორტი გოდერძი

III დღე: კურორტი გოდერძი- შავი ზღვის სანაპირო

თარიღი: 19-21.09.2025

1.1 შეჯიბრი: CROSS GEORGIA

შეჯიბრი ტარდება არასაერთო მოხმარების გზაზე, რომელიც სპეციალურად დაგეგმილია შეჯიბრისთვის. შეჯიბრის ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 დღით, თითოეული დღის საშეჯიბრო გზა მოიცავს დაახლოებით 150-180კმ-იან საშეჯიბრო მონაკვეთს სხვადასხვა ბუნებრივი დაბრკოლებებით: ტყის ბილიკები, ხეობა, ქვიანი რელიეფი, აღმართები და სხვ. რაც მიმართულია როგორც მოტოციკლების სანდოობის, ასევე მრბოლელების გამძლეობის შემოწმებაზე.

ნებისმიერი სირთულე, რომელიც წინასწარ არ იყო გათვალისწინებული, მიიჩნევა როგორც შეჯიბრის ნაწილი და მსგავსი მიზეზით საჩივარი არ მიიღება.

1.2 თითოეული საშეჯიბრო დღის გზა დაყოფილია ბრინჯაოს, ვერცხლის და ოქროს ფინიშებად.

1.3 თითოეული საშეჯიბრო დღის ხანგრძლივობა განსაზღვრულია 8 საათით, ამ დროის ამოწურვის შემდეგ მონაწილეს ჩაეთვლება ის ფინიში რომლის გადაკვეთაც შეძლო მოცემული დროის ამოწურვამდე.

1.4 შეჯიბრი დაყოფილია სამ საშეჯიბრო დღედ

I დღე - თბილისი - ბაკურიანი 180 კმ

II დღე - ბაკურიანი - გოდერძის უღელტეხილი 150 კმ

III დღე - გოდერძის უღელტეხილი - შავი ზღვის სანაპირო 150 კმ

1.5 შეჯიბრის 9 გამარჯვებული, შესაბამისი ფინიშის მიხედვით გამოვლინდება მოცემული საშეჯიბრო გზის გავლის სისწორის და სისწრაფის მიხედვით.

თითოეულ საშეჯიბრო დღეს ყველა მონაწილეს მიენიჭება ქულები გადაკვეთილი ფინიშის მიხედვით: ბრინჯაოს ფინიში 1 ქულა, ვერცხლის ფინიში 2 ქულა, ოქროს ფინიში 3 ქულა. შეჯიბრის დასრულების შემდეგ ქულათა ჯამი განსაზღვრავს მონაწილის შესაბამისი

„ფინიშერის“ წოდებას: 3-5 ქულა ბრინჯაოს „ფინიშერი“, 6-8 ქულა ვერცხლის „ფინიშერი“, 9 ქულა ოქროს „ფინიშერი“.

1.6 შეჯიბრის მონაწილეებს ყოველი საშეჯიბრო დღის სტარტზე გადაეცემათ მათ საკუთრებაში არსებული GPS-ები, რომლებშიც ჩაწერილი იქნება მხოლოდ შესაბამისი დღისთვის განკუთვნილი საშეჯიბრო გზა.

1.7 შეჯიბრის დასრულებისთანავე მონაწილე ვალდებულია გადასცეს შეჯიბრის ოფიციალურ პირს მის საკუთრებაში არსებული GPS-ი, რათა მოხდეს განვლილი საშეჯიბრო გზის ჩამოწერა/გადამოწმება და ახალი გზის ჩატვირთვა.

2. მოტოტრანსპორტის კლასიფიკაცია.

2.1 შეჯიბრის ENDURO კლასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ტიპის ენდურო და მოტოკროსის ტიპის მოტოციკლს.

2.2 მოტოციკლი უნდა აკმაყოფილებდეს საერთო მოხმარების გზებზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა წესს: უნდა ჰქონდეს სანომრე ნიშანი, მიმმართველები და შესაბამისი სანათები.

2.3 მონაწილეს უნდა ჰქონდეს შესაბამისი მართვის მოწმობა,

არასრულწლოვანი მონაწილეების შემთხვევაში: მონაწილე რეგისტრაციაზე/ბრიფინგზე უნდა გამოცხადდეს მშობელთან/მეურვესთან ერთად, თან იქონიოს დაბადების მოწმობა ან მისი ასლი და მშობლის/მეურვის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. მშობელი/მეურვე სრულად აცნობიერებს შეჯიბრში მონაწილეობის რისკებს და საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ რთავს ნებას არასრულწლოვანს მიიღოს მონაწილეობა არსებულ შეჯიბრში.

შენიშვნა: საშეჯიბრო გზა რამოდენიმე ადგილას კვეთს საერთო მოხმარების გზას სადაც მონაწილემ უნდა გამოიჩინოს მაქსიმალური სიფრთხილე და იმოძრაოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა წესის დაცვით! არასრულწლოვანის შემთხვევაში მშობელი/ მეურვე (ან მის მიერ ორგანიზებული დამხმარე მანქანა) ვალდებულია მოახდინოს მონაწილის და მისი მოტოციკლის უსაფრთხო ტრანსპორტირება საერთო მოხმარების გზაზე.

3. უსაფრთხოება

3.1 შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად სპორტსმენი ვალდებულია აღჭურვილი იყოს შემდეგი ეკიპირებით და ნივთებით:

GPS-აუცილებელი

GPS მოდელები რომლებიც დასაშვებია შეჯიბრზე:

Garmin Alpha Series

) Alpha 100

Garmin Colorado Series

) Colorado 300, 400c, 400i, 400t

Garmin Dakota Series

) Dakota 10, 20

Garmin Edge Series

) Edge 520, 530, 820, 830, 1030, 1030 Plus

Garmin eTrex Series

) eTrex Touch 25, 35

) eTrex 20, 20x, 22x

) eTrex 30, 30x, 32x

) eTrex 35t

Garmin Foretrex Series

) Foretrex 301, 401

Garmin GPSMAP Series

) GPSMAP 62, 62s, 62sc, 62st, 62stc

) GPSMAP 64, 64s, 64st

) GPSMAP 66s

) GPSMAP 76c, 76cs, 76csx, 76cx

) GPSMAP 78, 78s, 78sc

Garmin Montana Series

) Montana 600, 610, 630, 650, 650t, 680, 700i, 750i

Garmin Monterra Series

) Monterra 010-01065-00, 010-01065-03

Garmin Nüvi Series

) Nüvi 500, 550

Garmin Oregon Series

) Oregon 200, 300, 400c, 400i, 400t

) Oregon 450, 450t, 550, 550t

) Oregon 600, 600t, 650, 650t

) Oregon 700, 750

Garmin Rino Series

) Rino 610, 650, 655t

Garmin Zumo Series

) Zumo 220, 340LM, 550, 590LM, 660, 665

მოტოციკლზე GPS-ის სამაგრი-აუცილებელი

მობილური ტელეფონი-აუცილებელი

სარეზერვო ელემენტი GPS-ისთვის/მობილური ტელეფონისთვის -აუცილებელი

მოტოციკლის ინსტრუმენტების ჩანთა-აუცილებელი

მოტობოტი-აუცილებელი

ჩაფხუტი-აუცილებელი

ხელთათმანი-აუცილებელი

წყლის რეზერვუარი(ქემელბეჭი)-აუცილებელი

სათვალე-აუცილებელი

წიწაკის „სპრეი“ - აუცილებელი

სანთებელა/ასანთი- აუცილებელი

სარეზერვო საწვავი (1.5 ლიტრის ოდენობით) -რეკომენდირებული

გულმკერდის დამცავი- რეკომენდირებული

სამუხლე- რეკომენდირებული

საიდაყვე- რეკომენდირებული

საწვიმარი- რეკომენდირებული

თოკი- რეკომენდირებული

საბურავებში რეკომენდირებულია მუსები. კამერის შემთხვევაში აუცილებელია ზურგჩანთაში გქონდეთ სარეზერვო კამერები ან/და კამერის დასაწებებელი ინსტრუმენტები

3.2 თითოეული მონაწილე აცნობიერებს შეჯიბრთან დაკავშირებულ რისკებს და პასუხისმგებელია როგორც პირად, ასევე სხვა მონაწილის და მესამე პირების უსაფრთხოებაზე.

3.3 მაყურებელი ვალდებულია შეჯიბრის მსვლელობის დროს არ გადაკვეთოს მათთვის გამოყოფილი ტერიტორია და უპასუხისმგებლო ქმედებით საფრთხე არ შეუქმნას პირად და სხვის ჯანმრთელობას, ასევე სხვის მატერიალურ ქონებას.

3.4 ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალის დარღვევის შემთხვევაში, ორგანიზატორები თავისუფლდებიან სამოქალაქო და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან.

4.ორგანიზატორის/პრომოუტერის ვალდებულებები.

4.1ორგანიზატორი/პრომოუტერი ვალდებულია: მოახდინოს შეჯიბრის მართებული დაგეგმარება, შესაბამისი გარემოფაქტორების გათვალისწინებით, უშუალო კოორდინირება გაწიოს შეჯიბრის მოსამზადებელ სამუშაოებსა და შეჯიბრის მსვლელობის დროს.

4.2ორგანიზატორი/პრომოუტერი ვალდებულია: მონაწილეებს წინასწარ აცნობოს შეჯიბრთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია და რისკფაქტორები.

4.3ორგანიზატორი/პრომოუტერი ვალდებულია: შეჯიბრისთვის გამოყოს პერსონალის განსაზღვრული რაოდენობა.

4.4 ორგანიზატორი/პრომოუტერი ვალდებულია: მაყურებლისათვის წინასწარ განსაზღვროს და გამოყოს ადგილი/ები.

4.5 ორგანიზატორი/პრომოუტერი ვალდებულია წინასწარ განსაზღვროს სასტარტო და ფინიშის ადგილები, ასევე მონაწილეს მიაწოდოს ინფორმაცია საწვავის ჩასასხმელად გამოყოფილ ადგილებზე.

5.მონაწილეების ვალდებულებები

5.1 მონაწილე ვალდებულია: გაიაროს საშეჯიბრო რეგისტრაცია ორგანიზატორების მიერ წინასწარ დადგენილი წესით, წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტები რეგისტრაციისთვის: საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაციის ერთჯერადი ლიცენზია, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, სარეგისტრაციო ფორმა.

5.2 მონაწილე ვალდებულია: დაესწროს ორგანიზატორების მიერ ორგანიზებულ ბრიფინგს, არასრულწლოვანების შემთხვევაში: ბრიფინგზე გამოცხადდეს მშობელთან/მეურვესთან ერთად, თან იქონიოს დაბადების მოწმობა ან მისი ასლი და მშობლის/მეურვეის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

ბრიფინგის დრო და ადგილი წინასწარ იქნება განსაზღვრული ორგანიზატორი/პრომოუტერი-ს მიერ. მონაწილის ბრიფინგზე გამოცხადება დადასტურდება მისი ხელმოწერით.

ბრიფინგზე იქნება მოწოდებული ინფორმაცია შეჯიბრის წესებთან და ზოგად რისკებთან დაკავშირებით.

5.3 მონაწილე ან მონაწილეთა შედგენილი ჯგუფი ვალდებულია: უზრუნველყოს თავისთვის დამხმარე ავტომობილი რომელიც შეჯიბრის მსვლელობის დროს შეძლებს დაეხმაროს მონაწილეს წინასწარ განსაზღვრულ ადგილებზე, საჭიროებისამებრ უზრუნველყოს საწვავით, საჭიროებისამებრ ჩაუტაროს ტექ.მომსახურება, უზრუნველყოს მონაწილე საკვებით და საჭიროებისამებრ მოახდინოს მონაწილის/მოტოტრანსპორტის ევაკუაცია საშეჯიბრო გზიდან.

5.4 მონაწილე ვალდებულია: შეჯიბრის დაწყებამდე 30 წუთით ადრე გამოცხადდეს სასტარტო ხაზთან, გააჩეროს მოტოციკლი მისთვის განკუთვნილ სასტარტო ადგილზე. სასტარტო ადგილზე მოტოციკლის მოთავსების შემდეგ აკრძალულია მოტოტრანსპორტის მართვა უშუალოდ შეჯიბრის მსვლელობის დროის გარდა, ან/და შეჯიბრის ოფიციალური პირის ნებართვის გარეშე.

5.5 მონაწილე ვალდებულია: უსიტყვოდ დაემორჩილოს შეჯიბრის ოფიციალური პირის და ორგანიზატორები/პრომოუტერის მითითებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება მონაწილის დისკვალიფიკაცია.

5.6 მონაწილეს ეკრძალება: არაფხიზელ მდგომარეობაში შეჯიბრში მონაწილეობის მიღება.

5.7 მონაწილეს ეკრძალება: სხვისი მოტოტრანსპორტის შეხება/მასზე მანიპულირება მესაკუთრის ნებართვის გარეშე.

5.8 მონაწილეს ეკრძალება: არასპორტული საქციელი, რაც გამოიხატება შემდეგში: უცნაურო სიტყვების ხმარება, ტერიტორიის დანაგვიანება, გამიზნულად მოწინააღმდეგის დაზიანება ან შეყვანება, თვითნებურად საშეჯიბრო გზაზე გასვლა, შეჯიბრის ოფიციალური პირებთან შელაპარაკება და დაუმორჩილებლობა, წინასწარ დადგენილი წესების მიზანმიმართულად დარღვევა.

5.9 ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების უგულებელყოფა გამოიწვევს სპორტსმენის დისკვალიფიკაციას.

6. ლიცენზირება/შეჯიბრზე რეგისტრაცია

6.1 „ქროს ჯორჯიას“ თითოეული მონაწილე ვალდებულია ქონდეს საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაციის ერთჯერადი ლიცენზია. ერთჯერადი ლიცენზიის საფასური 2025 წლის მდგომარეობით არის 50 ლარი და ლიცენზიის აღება აუცილებელია შეჯიბრის წინ ღონისძიებაზე რეგისტრაციის დროს, სალიცენზიო რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია www.motofederation.ge

6.2 შეჯიბრზე რეგისტრაციის საფასური: 2025 წლის 30 ივნისის ჩათვლით შეადგენს 450 ლარს, 2025 წლის 31 ივლისის ჩათვლით შეადგენს 550 ლარს, 2025 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით შეადგენს 650 ლარს. 2025 წლის 1 სექტემბრიდან 17 სექტემბრის ჩათვლით შეჯიბრზე რეგისტრაციის საფასური იქნება 950 ლარი. შეჯიბრზე რეგისტრაცია ხორციელდება

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაციის ოფიციალურ ვებ გვერდზე:
www.motofederation.ge

6.3. საშეჯიბრო რეგისტრაცია დასრულდება 17. 09.2025 22:00-ზე

7. საშეჯიბრო წესები

7.1 სტარტის მოწყობა: მონაწილეების განლაგება პირველი საშეჯიბრო დღის სტარტზე მოხდება, რეგისტრაციის შედეგად მიღებული სასტარტო ნომრების მიხედვით. 2-2 მონაწილე სტარტს აიღებს 60 წამიანი ინტერვალით. სამივე საშეჯიბრო დღეს თითოეულ მონაწილეს ექნება ინდივიდუალური სასტარტო დრო, დადგენილ დროს სტარტზე არ გამოცხადების შემთხვევაში მონაწილე სტარტს აიღებს მისვლის თანავე, მაგრამ მისი დროის ათვლა დაიწყება მისთვის განკუთვნილი სასტარტო დროიდან. მონაწილის 20 წუთის და მეტის დაგვიანების შემთხვევაში მოხდება საშეჯიბრო დღის არჩათვლა.

მონაწილე ვალდებულია სტარტზე გამოცხადდეს სრული ეკიპირებით და საწვავის სავსე ავზით. მეორე და მესამე საშეჯიბრო დღეს მონაწილეების სასტარტო დრო განისაზღვრება წინა დღის შედეგების მიხედვით.

შენიშვნა: შეჯიბრის განმავლობაში მოტოციკლით გადაადგილების დროს სპორტსმენი ვალდებულია ჩაფხუტის ღვედი ჰქონდეს შეკრული. ოფიციალური პირების მიერ გახსნილი ღვედის დაფიქსირების შემთხვევაში მონაწილე განმარტებების გარეშე ავტომატურად გამოეთიშება შეჯიბრს.

7.2 სამივე საშეჯიბრო დღეს აკრძალულია მოტოციკლის ან სპორტსმენის შეცვლა, მსგავსი ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში მოხდება მონაწილის დისკვალიფიკაცია.

7.3 მონაწილე ვალდებულია საშეჯიბრო გზაზე გადაადგილდეს წინასწარ მონიშნული ტრაექტორიით. ტრაექტორიიდან გასვლა, საშეჯიბრო გზის მიზანმიმართულად ავლა განისაზღვრება დაჯარიმებით ან დისკვალიფიკაციით. იმ შემთხვევაში თუ მონაწილეს იძულებით მოუწია მონიშნული ტრაექტორიიდან გასვლა, იგი ვალდებულია საშეჯიბრო გზაზე დაბრუნდეს გასვლის ადგილიდან.

7.4 მონაწილე ვალდებულია გაითვალისწინოს სიჩქარის შემზღუდავი მინიშნებები GPS ნავიგატორში და მკაცრად დაიცვას სიჩქარის შემზღუდვის წესი, წესის დარღვევა გამოიწვევს მონაწილის დაჯარიმებას ან დისკვალიფიკაციას

7.5 შეჯიბრის მსვლელობის დროს საშეჯიბრო გზაზე აკრძალულია გარეშე პირის მიერ მონაწილის დახმარება გარდა დამხმარე მანქანებისთვის სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა. დაშვებულია მონაწილეების მიერ ურთიერთდახმარება ყველა მონაკვეთზე. შეჯიბრის ის მონაწილე რომელმაც დაასრულა საშეჯიბრო დღე ითვლება გარეშე პირად და ეკრძალება შეჯიბრის მონაწილის დახმარება.

7.6 ყოველი საშეჯიბრო დღის ბოლოს მონაწილე ვალდებულია, შეჯიბრის ოფიციალურ პირს გადასცეს GPS მოწყობილობა, რომელშიც ჩაწერილი იქნება მის მიერ გავლილი საშეჯიბრო გზა,

GPS-ის ან/და გავლილი საშეჯიბრო გზის არ/ვერ წარმოდგენის შემთხვევაში მონაწილეს არ ჩაეთვლება არსებული საშეჯიბრო დღე.

7.7 იმ შემთხვევაში თუ მონაწილემ გადაწყვიტა შეჯიბრის შეწყვეტა ან დაასრულა შეჯიბრი, იგი ვალდებულია დაუკავშირდეს მის დამხმარე მანქანას და მოახდინოს თავისი და მოტოტრანსპორტის ევაკუაცია დამხმარე მანქანის მეშვეობით და ამცნოს თავისი გადაწყვეტილების შესახებ შეჯიბრის ოფიციალურ პირს.

7.8 მონაწილეს უფლება აქვს შედეგების გამოცხადებიდან 30 წუთის განმავლობაში წერილობითი ფორმით აცნობოს სადაო საკითხი შეჯიბრის ოფიციალურ პირს. სამსაჯო კომისია ვალდებულია განიხილოს სადაო საკითხი 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

8. რეკომენდაციები

8.1 მონაწილეებისათვის რეკომენდირებულია, გარდა აუცილებელი ეკიპირებისა აღჭურვილნი იქნან სხვა სპეციალური დამცავებით (გულმკერდის დამცავი, საწვიმარი...)

8.2 მონაწილეებისთვის რეკომენდირებულია შეადგინონ 2-4 კაციანი გუნდი და შეჯიბრის მსვლელობის დროს დაეხმარონ ერთმანეთს.

8.3 გამომდინარე რთული საშეჯიბრო გზიდან, რაც მოითხოვს შეჯიბრის მსვლელობის დროს სპორტსმენის სრულ ფიზიკურ დატვირთვას, რეკომენდირებულია მონაწილემ წინასწარ განსაზღვროს პირადი ჯანმრთელობის მდგომარეობა და იმოქმედოს შესაბამისად მისი ფიზიკური მონაცემებისა.

8.4 გამომდინარე რთული საშეჯიბრო გზიდან, რეკომენდირებულია მონაწილემ წინასწარ მოამზადოს თავისი მოტოციკლი და დარწმუნდეს მის ტექნიკურ გამართულობაში.